შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების I კვარტალის აგარიში

ზუგდიდი

2025

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის (შემდგომში კოლეჯი) 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედურ I კვარტალის ანგარიშს. კოლეჯის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა გამომდინერაობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან. მონიტორინგის მიზანია, მოახდინოს თანამშრომელთა მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ანგარიშგება კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ასევე, სამუშაო პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და კოლეჯის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

## შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების I კვარტალის აგარიში

| | | თვეები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა | აქტივობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ანგარიში | მტკიცებულება |
| ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადება | სამოქმედო გეგმის აქტივობების ჩამონათვალის გადახედვა;<br><br>შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის შეგროვება;<br><br>შესრულების დონის შეფასება (შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა/არ შესრულდა);<br><br>ანალიტიკური ნაწილის მომზადება;<br><br>საბოლოო ანგარიშის შედგენა და წარდგენა ხელმძღვანელისთვის. | | | | | | | **შესრულდა**-წარმატებით განხორციელდა კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან შეგროვდა ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების შესრულების შესახებ. განხორციელდა ანალიზი და მომზადდა დეტალური ანგარიში, რომელიც ასახავს შესრულებული საქმიანობების მოცულობას, ხარისხს და შესაბამისობას სტრატეგიულ მიზნებთან. | • ერთწლიანი შესრულების ანგარიში (დოკუმენტი)<br><br>• მონიტორინგის ცხრილები<br><br>• ფოტო/დოკუმენტური მტკიცებულებები<br><br>• წარმოდგენილია დირექტორისთვის |
| ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება | • წინა წლის შესრულებული გეგმის ანალიზი და შეფასება<br><br>• საჭიროებებისა და გარემოს ანალიზის ჩატარება (SWOT ან სხვა მეთოდით)<br><br>• სტრუქტურული ერთეულებისგან წინადადებების შეგროვება<br><br>• პრიორიტეტების განსაზღვრა სტრატეგიული მიზნებთან შესაბამისობით | | | | | | | **შესრულდა**-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის, წინა წლის შესრულებული გეგმის ანალიზისა და სტრუქტურული ერთეულებისგან მიღებული წინადადებების საფუძველზე. გეგმა ასახავს კოლეჯის პრიორიტეტულ მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის აქტივობებს, ინდიკატორებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. პროცესი წარიმართა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის კოორდინაციით. დოკუმენტი შეთანხმებულია და დამტკიცებულია კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ. | კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • გეგმის სტრუქტურის ჩამოყალიბება (ამოცანები, აქტივობები, ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებულები)<br><br>• გეგმის შეთანხმება და დამტკიცება კოლეჯის ხელმძღვანელობასთან | | | | | | | | |
| სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი | სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისობის შეფასება;<br>თითოეული ამოცანის შესრულების სტატუსის მონიტორინგი;<br>პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშგება შესრულებაზე<br>შესრულებული აქტივობების შესაბამისობის შეფასება მიზნებთან<br>პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება<br>მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია კოლეჯის მენეჯმენტთან | | | | | | | **შესრულდა**- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადამოწმება:<br>შეფასდა კოლეჯის სტრატეგიული მიზნების შესაბამისობა სამოქმედო გეგმასთან. განისაზღვრა, რამდენად შეესაბამებოდა დაგეგმილი აქტივობები გრძელვადიან პრიორიტეტებს.<br><br>2. დაგეგმილი ამოცანების მონიტორინგი:<br>სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანების შესრულება სისტემატურად გაკონტროლდა. თითოეული აქტივობის შესრულების სტატუსი განახლდა და დოკუმენტურად აღირიცხა.<br><br>3. ანგარიშგება პასუხისმგებელი პირების მხრიდან:<br>სხვადასხვა მიმართულებით პასუხისმგებელმა პირებმა წარადგინეს შესრულებული სამუშაოს ანგარიშები, რაც წარმოადგენდა მონიტორინგის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს.<br><br>4. შესრულებული აქტივობების შეფასება:<br>შესრულებული აქტივობები შეფასდა სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით. ეს შეფასება დაეყრდნო კონკრეტულ ინდიკატორებსა და წინასწარ განსაზღვრულ მოლოდინებს.<br><br>5. პრობლემური საკითხების გამოვლენა და რეკომენდაციები:<br>მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე დაგვიანებული ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობა. მათზე მომზადდა კონკრეტული რეკომენდაციები, რაც მოიცავდა როგორც ვადების კორექტირებას, ასევე პასუხისმგებელთა გააქტიურებას.<br><br>6. საბოლოო ანგარიშის წარდგენა:<br>მონიტორინგის შედეგები შეჯამდა ერთიან დოკუმენტში და წარედგინა კოლეჯის მენეჯმენტს. შეხვედრაზე განიხილეს შესრულების ხარისხი, გამოწვევები და შემდგომი ნაბიჯე | შესრულებული ანგარიშები პასუხისმგებელი პირებისგან<br><br>განახლებული სამოქმედო გეგმა შესრულების სტატუსით<br><br>რეკომენდაციების დოკუმენტი<br><br>სხდომის ოქმი და პრეზენტაციის მასალები |
| კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების მონიტორინგი არსებულ რეგულაციებთან/სტანდარტებთან მიმართებაში | კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობის მონიტორინგი მოქმედ კანონმდებლობასთან, პროფესიული განათლების სტანდარტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დებულებებთან მიმართებაში; დოკუმენტების პერიოდული გადახედვა, ანალიზი და განახლების ინიცირება. | | | | | | | **შესრულდა**- გადაიხედა კოლეჯში მოქმედი ყველა შიდა დოკუმენტი: წესდება, შიდაგანაწესი, ადმინისტრაციული პროცედურების რეგლამენტი, კადრების პოლიტიკა, სწავლების და შეფასების პოლიტიკა, თვითშეფასების ფორმატები და სხვა. | კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობის მონიტორინგი მოქმედ კანონმდებლობასთან, პროფესიული განათლების სტანდარტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დებულებებთან მიმართებაში.<br>განხორციელდა დოკუმენტების გადახედვა |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | და ანალიზი, თუმცა ცვლილება ამ ეტაპზე არ განხორციელებულა. |
| 2025 წ.ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შედგენა, დამტკიცება | წინა წლის გეგმის შესრულების ანალიზი, საჭიროებების იდენტიფიცირებაგეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება, სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა და წინადადებების მიღება, ადმინისტრაციასთან განხილვა, დამტკიცება და ოფიციალურად გასაჯაროება | | | | | | | **შესრულდა:**<br>კოლეჯში შემუშავდა 2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება წინა პერიოდის შესრულების ანალიზს და კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებს. დოკუმენტი შეთანხმდა ადმინისტრაციასთან და დამტკიცდა დირექტორის მიერ. გეგმა მოიცავს ხარისხის მუშაობის მიზნობრივ განვითარებას და უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ მიდგომას საანგარიშო წლის განმავლობაში. | კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2025 წელს სამოქმედო გეგმა .<br>გეგმის სამუშაო და საბოლოო ვერსიები<br><br>შეთანხმების და დამტკიცების ოქმი/ბრძანება |
| ადმინისტრაციის თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა | კითხვარის შედგენა (დახურული და ღია შეკითხვებით)<br><br>კითხვარის გავრცელება პერსონალს შორის<br><br>პასუხების შეგროვება და ანალიზი<br><br>კვლევის შედეგების შეჯამება<br><br>შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება<br><br>შედეგების კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან | | | | | | | **შესრულდა:**<br>შესრულდა ადმინისტრაციის თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევა. კვლევა განხორციელდა კითხვარების საფუძველზე, მიღებული მონაცემების ანალიზით იდენტიფიცირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები, რაც დაედო საფუძვლად შემდგომ გეგმირებას. | კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი; |
| პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა | როფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების და საჭიროებების კვლევის ჩატარება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რათა განისაზღვროს ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებები. | | | | | | | **შესრულდა:**<br>ამ აქტივობის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოდულის განმახორციელებელი პირების და პროფესიული სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვა Google Forms-ის მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს „აღმზრდელის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 45 პროფესიულმა სტუდენტმა და 20 პროფესიული განათლების მასწავლებელმა. | • ელექტრონული გამოკითხვის (Google Forms) კითხვარი<br><br>• გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი<br><br>• მონაწილეთა დასახელებული რაოდენობა (სტუდენტები და მასწავლებლები)<br><br>• გამოკითხვის განახლებული ბაზა ან მონაცემთა შემაჯამებელი ფაილი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება | კითხვარების შემუშავება და განაწილება<br>გამოკითხვის ჩატარება<br>მიღებული პასუხების ანალიზი და ძირითადი მიგნებების ფორმულირება<br>რეკომენდაციების მომზადება კოლეჯის ადმინისტრაციისთვის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით | | | | | | | **შესრულდა:** კოლეჯმა განახორციელა გამოკითხვა პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შორის, რათა შეფასებულიყო სასწავლო გარემო, ინფრასტრუქტურა, ტექნიკური და მასალების მხარდაჭერა, ბიბლიოთეკის მომსახურება, IT მხარდაჭერა და სხვა სერვისები. | შედგენილი კითხვარები (სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის)<br><br>ბეჭდური ვერსიები<br><br>გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი<br><br>ძირითადი მიგნებების შეჯამება<br><br>რეკომენდაციათა სია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის კვლევის შემაჯამებელი ანგარიში |
| საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების განხორციელება | პროგრამის ძირითადი კომპონენტების ანალიზი<br>პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვა/ინტერვიუები<br>მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ფორმულირება<br>შიდა შეფასების ანგარიშის წარდგენა<br>რეკომენდაციების მომზადება გაუმჯობესებისთვის | | | | | | | **შესრულდა** - საგანმანათლებლო პროგრამების სისტემური შეფასების მიზნით შემუშავდა შიდა შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია. შეფასება მოიცავდა სწავლების პროცესს, სასწავლო მასალას, ინფრასტრუქტურას, სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებს, დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა კომპონენტებს.<br><br>შეფასების ფარგლებში ჩატარდა სტუდენტებისა და სასწავლო პერსონალის გამოკითხვა და ინტერვიუები, შეგროვდა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მომზადდა შიდა შეფასების ანგარიში და წარედგინა მენეჯმენტსა და დაინტერესებულ მხარეებს. საბოლოოდ, მომზადდა რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. | შევსებული კითხვარები (სტუდენტებისა და პერსონალის)<br><br>შიდა შეფასების მონაცემთა ანალიზის ანგარიში<br><br>შიდა შეფასების საბოლოო ანგარიში<br><br>რეკომენდაციების ჩამონათვალი ან გეგმა გაუმჯობესებისთვის<br><br>ანგარიშის წარდგენის ფაქტი (წარდგენის ოქმი ან მიმოწერა მენეჯმენტთან) |
| მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარისხის შეფასება | მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაცია.<br><br>შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.<br><br>სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა.<br><br>მონაცემების ანალიზი.<br><br>პრობლემების იდენტიფიცირება.<br><br>რეკომენდაციების შემუშავება.<br><br>შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა | | | | | | | **შესრულდა:** მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და რესურსების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა კოლეჯის ინფრასტრუქტურის, კლასების, ლაბორატორიების, სასწავლო მასალებისა და აღჭურვილობის ინვენტარიზაცია.<br>ჩატარდა სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა არსებული რესურსების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.<br>მიღებული მონაცემები გაანალიზდა მოქმედი პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.<br>დასკვნის საფუძველზე იდენტიფიცირდა პრობლემური სფეროები და შემუშავდა რეკომენდაციები კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და რესურსების გაუმჯობესებისთვის.<br>შეფასების საბოლოო ანგარიში წარედგინა ადმინისტრაციას. | მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარიზაციის ფორმები და მონაცემთა ცხრილები<br><br>სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები<br><br>ანალიზის ანგარიში (შედარება სტანდარტებთან და პროგრამებთან)<br><br>პრობლემური საკითხების ჩამონათვალი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ადმინისტრაციისთვის. | | | | | | | | რეკომენდაციების დოკუმენტი<br><br>შეფასების საბოლოო ანგარიში |
| შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია | ვალიდავიის ჯგუფის წევრების მიერ სეფასების ისტრუმეტის ვალიდაცია | | | | | | | **არშესრულდა** - არდამდგარა ამისი საჭიროება . | |
| ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა) | საჭიროებების იდენტიფიცირება — პროფ. განვითარების საჭიროებების შემოკლება ანკეტების, ინტერვიუების ან თვითშეფასების საფუძველზე.<br><br>ტრენინგებისა და კურსების გეგმების შემუშავება და შერჩევა.<br><br>ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასერთიფიკატო კურსების ორგანიზება და ჩატარება.<br><br>მიღებული შედეგების ანალიზი და პროფესიული განვითარების გეგმების მომზადება. | | | | | | | **შესრულდა:** კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2025 იანვრიდან ივლისის ჩათვლით ორგანიზებულ იქნა ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.ტრენინგები ჩატარდა სხვადასხვა თემატიკაზე, რაც მიზნად ისახავდა თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და პრაქტიკული კომპეტენციების გაძლიერებას. მათ შორის,<br><br>**მოწვეულმა ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ ჩაატარა სემინარი/ტრენინგი შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:**<br>• სწავლების თანამედროვე მიდგომები და შეფასების სისტემები<br>• პროფესიული პროგრამების მართვის სპეციფიკა<br>• სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება<br><br>**ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ნესტან აბსავამ და სასწავლო პროცესის მენეჯერმა ნანა აბსავამ მასწავლებლებისთვის ჩაატარეს შიდა ტრენინგები, რომლებიც შეეხებოდა:**<br>• ხარისხის მართვის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში<br>• შიდა შეფასების და მონიტორინგის ინსტრუმენტების გამოყენებას<br>• პროგრამის განმახორციელებელი პირების როლსა და ფუნქციებს ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში;<br><br>კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, მათ შორის კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. აღნიშნული ჩართულობა ხდება მუდმივ რეჟიმში და მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნის და უნარების განვითარებას. | ტრენინგების დღის წესრიგი და შინაარსობრივი გეგმა<br><br>დასწრების სიები<br><br>ფოტომასალა ტრენინგებიდან<br><br>სერთიფიკატები მონაწილეებისთვის<br><br>შევსებული შეფასების/უკუკავშირის ფორმები<br><br>ასოციაციის ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაცია |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |
| კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი წესების გაცნობა | · კოლეჯის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, დისციპლინარული წესებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა ადმინისტრაციის თანამშრომლების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის;<br>· დოკუმენტების განახლება საჭიროებისამებრ და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (დასაკიდი ფორმით, ბეჭდური სახით, ელექტრონულად);<br>· საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება შიდა რეგულაციების თემებზე;<br>· დოკუმენტზე ხელმოწერით გაცნობის დამადასტურებელი ფორმის შევსება. | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:**<br>კოლეჯში უზრუნველყოფილია თანამშრომელთა, მათ შორის ახალი თანამშრომლების, მარეგულირებელი დოკუმენტების (შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, დისციპლინური წესები, თანამდებობრივი ინსტრუქცია და სხვა) გაცნობა. ინტეგრაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. საქმისწარმოების მენეჯერი ან პროფორიენტაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი გადასცემს ახალ თანამშრომელს მის თანამდებობრივ ინსტრუქციას, განუმარტავს ფუნქციურ ვალდებულებებს, სამუშაოს შინაარსს, შეფასების კრიტერიუმებს და ყველა მნიშვნელოვან რეგულაციას, რაც საჭიროა მისი საქმიანობის ეფექტურად შესასრულებლად. | · ხელმოწერილი გაცნობის ფორმები შინაგანაწესსა და რეგულაციებთან დაკავშირებით<br><br>· თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობის დოკუმენტები<br><br>· პროფორიენტაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები<br><br>· ახალი თანამშრომლების დასწრების სიები და შემოწმების ოქმები |
| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება | შრომის ბაზრისა და საზოგადოებ ის მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათ ლებლო, მოკლე ციკლის, გად ამზადების და/ან სასერტიფიკ ატო პროგრამები ს შემუშავება და დანერგვა | | | | | | | **შესრულდა:**<br><br>კოლეჯის დირექტორის (N 01/29; 10.06.2024 ) ბრძანების საფუძვლზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პროფესიული მომზადება /გადამზადების პროგრამები ,,კომუნიკაციური უნარების, ენისა დამეტყველების განვითარება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში.“,,ფრჩხილის დამუსავება და აფარვა გელ ლაქით ‘’.,,ელექტრონული ბუღალტერია’’ .<br>სამივე პროგრამა წარედგინა ხარისხის განვიტარების ეროვნულ ცენტრს დასადატურებლად. | კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები;<br><br>განათლების ხარისხის განვიტარების ეროვნული ცენტრის ბრძანებები: |
| ვაუჩერული დაფინანსებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება | პროგრამის რეგისტრაცია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (VEEMS);<br>• დაინტერესებული პირების ინფორმირება ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ;<br>• სწავლის მსურველთა რეგისტრაცია და საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დადგენილი სტანდარტებისა და ვადების შესაბამისად;<br>• ფინანსური და ადმინისტრაციული პროცესების მართვა განათლების მართვის სისტემის მოთხოვნებთან | | | | | | | **შესრულდა** : ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმატებით განხორციელდა. დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია დაფინანსების პირობების შესახებ, განხორციელდა სტუდენტთა რეგისტრაცია და საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება. სასწავლო პროცესი წარიმართა დადგენილი სტანდარტებისა და კალენდარული გეგმის მიხედვით. ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხები უზრუნველყოფილი იყო განათლების მართვის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად. განხორციელდა აქტივობების მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები. | სტუდენტთა რეგისტრაციის განაცხადები და რეგისტრაციის აქტები;<br>• ვაუჩერული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მასალა (ანონსები, განცხადებები);<br>• სასწავლო პროცესის კალენდარული გეგმა და პროგრამის შესრულების |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესაბამისობაში;<br>• შესრულებული აქტივობების მონიტორინგი და ანგარიშგება. | | | | | | | | დოკუმენტაცია;<br>• ფინანსური ანგარიშები და გადახდების დამადასტურებელი საბუთები;<br>• მონიტორინგისა და ანგარიშგების ანგარიშები;<br>• განათლების მართვის სისტემაში (VEEMS) შეტანილი მონაცემები. |
| თანამშრომლობის გაფართოება პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან | პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება და ანალიზი<br><br>კომუნიკაციის დაწყება და ინტერესის გამოკვეთა<br><br>თანამშრომლობის პირობებზე შეთანხმება<br><br>მემორანდუმის გაფორმება<br><br>პრაქტიკის გეგმის და შეფასების მექანიზმების შეთანხმება<br><br>კურატორების დანიშვნა<br><br>პრაქტიკის პროცესის მონიტორინგი<br><br>თანამშრომლობის შედეგების შეფასება და გაუმჯობესება | | | | | | | **შესრულდა:**<br>პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოების მიზნით, კოლეჯის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან. მოლაპარაკებების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულებები, რაც ითვალისწინებს მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებას. თანამშრომლობის გაფორმების შედეგად, კოლეჯის მსმენელები მომავალში შეძლებენ პრაქტიკული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებას. | გაფორმებული ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამატებულია შეთანხმებების ასლები)<br><br>პარტნიორი ორგანიზაციების სია და საკონტაქტო ინფორმაცია<br><br>პრაქტიკის ობიექტების მიერ გაცემული თანხმობა და დადასტურება<br><br>მომზადება/გადამზადების პროგრამების განრიგი და მონაწილეთა სია. |
| ოფიციალური ვებ-გვერდის /სოციალურ ქსელში არსებული გვერდის მუდმივად განახლება | ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი და ახალი მასალების (ახალი ამბები, ღონისძიებები, განცხადებები, მიღწევები) მომზადება<br><br>განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში<br><br>ვიზუალური მასალების (ფოტო/ვიდეო) დამუშავება და თანდართვა<br><br>მომხმარებელთა გამოხმაურების ანალიზი და ანგარიშგება | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:**საანგარიშო პერიოდში, ვებგვერდზე სისტემატიურად ხორციელდებოდა სიახლეებისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის განთავსება, რაც დასტურდება კოლეჯის ვებგვერდით : www.zugdidiacademy.edu.ge www.akademiazug.ge | www.zugdidiacademy.edu.ge<br><br>www.akademiazug.ge |
| პროგრამების კატალოგის განახლება | არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა და შინაარსობრივი გადამუშავება<br><br>ახალი პროგრამების დანერგვის მიზნით შრომის ბაზრის საჭიროებებისა და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების განხილვა<br><br>განახლებული კატალოგის დიზაინი, ტექნიკური ფორმატირება და გამოქვეყნება | | | | | | | **შესრულდა :** განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი გადამუშავება. დამატებით იქნა შეტანილი ახალი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები. განახლებული კატალოგი მოწესრიგდა დიზაინისა და სტრუქტურის მიხედვით და ატვირთულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. | გაახლებული კატალოგი :2015 http://akademiazug.ge/wp-content/uploads/2024/04/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-2024.pdf<br><br>განახლებული პროგრამების |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | კატალოგის ელექტრონული და ბეჭდური ვერსია<br><br>კატალოგის ატვირთვის ბმული ოფიციალურ ვებ-გვერდზე |
| ინფორმაციის დაცვა და ელექტრონული რისკების მართვა | მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და პროცედურების გადახედვა<br><br>პერსონალის ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტებზე<br><br>რისკების იდენტიფიცირება და შეფასება (კიბერ შეტევები, მონაცემების დაკარგვა, ვირუსები და ა.შ.)<br><br>ანტივირუსული და უსაფრთხოების სისტემების განახლება | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა** : კოლეჯში განახლდა ინფორმაციის დაცვის წესები და განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი რისკების ანალიზი. შესრულდა IT-ინფრასტრუქტურის შეფასება და დაინერგა სარეზერვო კოპირების მექანიზმი. ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა განახლდა. განხორციელდა პერსონალის ინფორმირება მონაცემთა დაცვის და ციფრული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების შესახებ. | პერსონალის საინფორმაციო შეხვედრის/ტრენინგის დღის წესრიგი და სიის წარდგენა<br><br>რისკების ანალიზის ანგარიში ან შესაბამისი შიდა დოკუმენტი |
| IT ინფრასტრუქტურის განვითარება | არსებული IT რესურსების ინვენტარიზაცია და საჭიროებების შეფასება<br><br>მოძველებული ტექნიკის ჩანაცვლება ან განახლება<br><br>ტექნიკური აღჭურვილობის (ლეპტოპები, პროექტორები, პრინტერები და სხვ.) დამატება<br><br>ტექნიკური მომსახურების გეგმის შემუშავება<br><br>თანამშრომლებისათვის ელ. ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით საინფორმაციო სესიების/ტრენინგების ორგანიზება | | | | | | | განხორციელდა არსებული IT რესურსების ინვენტარიზაცია და საჭიროებების შეფასება<br><br>განახლდა მოძველებული ტექნიკა<br><br>დამატებით შეიძინა ტექნიკური აღჭურვილობა (ლეპტოპები,პრინტერები და სხვა საჭირო მოწყობილობები)<br><br>შემუშავდა ტექნიკური მომსახურების გეგმა<br><br>თანამშრომლებისთვის ჩატარდა საინფორმაციო სესიები და ტრენინგები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით | ინვენტარიზაციის დოკუმენტი და შეფასების ანგარიში<br><br>ტექნიკის შეძენის დოკუმენტაცია/ინვოისები<br><br>სურათები განახლებული ტექნიკით აღჭურვილი სივრცეებიდან<br><br>ტექნიკური მომსახურების გეგმა (დამტკიცებული დოკუმენტი)<br><br>ტრენინგების დღის წესრიგი, დასწრების სია და ფოტომასალა |
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/დარგობრივი გარემოს განახლება . | არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაცია და მდგომარეობის შეფასება<br>საჭირო აღჭურვილობისა და მასალების განსაზღვრა<br>ახალი ტექნიკური საშუალებების შეძენა და მოძველებული აღჭურვილობის განახლება<br>დარგობრივი ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად<br>დარგობრივი გარემოს უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულაციების დაცვა<br>რეგულარული ტექნიკური მომსახურება და აღჭურვილობის გადამოწმება | | | | | | | **შესრულდა:**<br>კოლეჯში ჩატარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ინვენტარიზაცია, რაც საფუძვლად დაედო განახლებულ საჭიროებათა ჩამოყალიბებას. განხორციელდა დარგობრივი ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით და მასალებით. განახლდა უსაფრთხოების სტანდარტები და უზრუნველყოფილია აღჭურვილობის რეგულარული ტექნიკური მომსახურება. | ინვენტარიზაციისა და შეფასების ანგარიშები<br><br>შეძენილი ტექნიკის და მასალების ინვოისები<br><br>ფოტო/ვიდეო მასალა განახლებული ბაზის და დარგობრივი გარემოს შესახებ |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო გარემოს მოწყობა/განახლება | არსებული სასწავლო სივრცეების შეფასება და საჭიროებების იდენტიფიცირება<br><br>თანამედროვე სასწავლო გარემოს სტანდარტებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა<br><br>ახალი სასწავლო ინვენტარის, ავეჯისა და ტექნიკის შეძენა<br><br>უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს ჰიგიენის მოთხოვნების უზრუნველყოფა | | | | | | | კოლეჯში განხორციელდა სასწავლო სივრცეების შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა. განახლდა სასწავლო ოთახები და ლაბორატორიები. დაინერგა ციფრული რესურსები სწავლებისა და კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად. უზრუნველყოფილია უსაფრთხოების და ჰიგიენის სტანდარტების დაცვა. | შეფასების და საჭიროებების ანალიზის დოკუმენტი<br><br>ფოტო და ვიდეო მასალა განახლებული საგანმანათლებლო სივრცეების შესახებ<br><br>უსაფრთხოების და ჰიგიენის სერტიფიკატები |
| საბიბლიოთეკო ფონდის გაახლება და გამდიდრება /საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურების ვებ-გვერდზე განთავსება) | ბიბლიოთეკის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების განახლება; | | | | | | | **შესრულდა:** სტუდენტებისთვის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის მიზნით კოლეჯის ვებ გვერდზე განათავსა პროგრემების შესაბამისი ელექტრონული სადანმანათლებლო რესურსები რესურსები: https://akademiazug.ge/biblio/ | პროგრემების შესაბამისი ელექტრონული სადანმანათლებლო რესურსები რესურსები: https://akademiazug.ge/biblio/ |
| კოლეჯი უზრუნველოფს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას კოლეჯში არსებული რეგულაციების შესახებ, აცნობს მათ უფლება მოვალეობებს და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს | პროფესიული სტუდენტების ინფორმირების მიწოდება ვებ-გვერდისა და მეილების საშუალებით | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა**:კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების სერვისებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის ყველა სიახლე გონივრულ ვადებში ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში. აგრეთვე პროფესიული სტუდენტის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა თუ მოთხოვნა და მასზე რეაგირება ხორციელდება მეილების საშუალებით. | ვებ გვერდი www.zugdidiacademy.edu.ge www.akademiazug.ge ფეისბუქგვერდები: https://www.facebook.com/profile.php?i https://www.facebook.com/profile.php?id=10 სოც-ქსელის ჯგუფები ; გაფორმებული ხელშეკრულება. |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსტრაკურიკულური/არა ფორმალური აქტივობების წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება | სტუდენტთა ინტერესების და ინიციატივების რეგულარული გამოკითხვა<br><br>ინიციატივების სამოქმედო გეგმების შედგენა და რესურსების მობილიზაცია<br><br>შემოქმედებითი, სპორტული, კულტურული და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება<br><br>ინიციატივების შედეგების საჯარო პოპულარიზაცია და შეფასება | | | | | | | **შესრულდა:**<br>კოლეჯში რეგულარულად ტარდება ექსტრაკურიკულური და არაფორმალური ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტების ინიციატივები მხარდაჭერილია და განხორციელდა სხვადასხვა შემოქმედებითი, სპორტული და პროფესიული აქტივობები. დამტკიცდა მენტორინგის სისტემა და უზრუნველყოფილია ინიციატივების პოპულარიზაცია. | ინიციატივების რეგისტრაციის ფურცლები და ანგარიში<br><br>ღონისძიებების განრიგი, ფოტო- და ვიდეომასალა<br><br>მონაწილეთა სიები და შეფასების ფორმები<br><br>მენტორინგის გეგმები და მენტორების აქტივობის დოკუმენტაცია<br><br>სტუნდეტების გამოხმაურებები და შიდა ანალიზის ანგარიშები |
| მუდმივად განახლებადი დასაქმებისა და კარიერული ხელშეწყობის სოციალურ ქსელში გვერდის მართვა/ადმინისტრირება | რეგულარული პოსტების მომზადება და განთავსება (ვაკანსიები, კარიერული რჩევები, ღონისძიებები)<br><br>დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა (სტუდენტები, დამსაქმებლები, პარტნიორები)<br><br>გვერდის ვიზუალური და ტექსტუალური კონტენტის განახლება<br><br>გამოხმაურებების მონიტორინგი და დროული პასუხის გაცემა<br><br>სოციალურ ქსელში მიმდინარე ტენდენციების და შესაძლებლობების გამოყენება | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა**: კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან /ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;<br>კოლეჯში კარიერული მხარდაჭერისათვის ფეისბუქის გვერდზე შექმნილია სპეციალური დახურული ჯგუფი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერის დაგეგმვადა განვითარება", სადაც ქვეყნდება ინფორმაციები ახალი საწარმოების გახსნის, დასაქმების შესაძლებლობებისა და მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. ასევე, კოლეჯის ხელშეწყობით/ორგანიზებით ეწყობა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმოადგენლებთან, მუნიციპალიტეტში, დამსაქმებლებთან.კოლეჯი ასევე აწყობს სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების სერვისებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის ყველა სიახლე გონივრულ ვადებში ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში. აგრეთვე პროფესიული სტუდენტის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა თუ მოთხოვნა და მასზე რეაგირება ხორციელდება მეილების საშუალებით. | სოციალური ქსელის გვერდის სტატისტიკა და აქტივობის ანგარიშები<br><br>განთავსებული პოსტების არქივი (ვაკანსიები, ღონისძიებები, სტატუსები)<br><br>მომხმარებელთა გამოხმაურების ნიმუშები<br><br>კარიერული ღონისძიებების ანგარიშები და ფოტო/ვიდეო მასალა |
| შრომის წესების გაცნობა, ინსტრუქტაჟი | შრომის წესების დოკუმენტის შესწავლა და განახლებები<br><br>ორგანიზება საინფორმაციო შეხვედრებისა და ინსტრუქტაჟების ახალი თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის<br><br>უსაფრთხოების ნორმების, სამუშაო საათებისა და ქცევის სტანდარტების მიმოხილვა<br><br>ინსტრუქტაჟის დოკუმენტაციის შექმნა და გასახმარი | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:** კოლეჯში ჩატარდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზაზა ხვიტიას მიერ შრომის უსაფრთხოების ტრენინგები როგორც კოლეჯის პერსონალისთვის ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. | ინსტრუქტაჟის დღის წესრიგი და პროგრამა<br><br>მონაწილეთა რეგისტრაციის სია და ხელმოწერები<br><br>შრომის წესების განახლებული დოკუმენტი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მასალების მომზადება<br><br>მონაწილეთა რეგისტრაცია და მონიტორინგი | | | | | | | | |
| ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვა, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება/ინსტრუქტაჟი | ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების რეგულარული გადახედვა და განახლება<br><br>დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, თანამშრომლები, პარტნიორები) ინფორმირება რეგულაციების შესახებ<br><br>ინსტრუქტაჟის ორგანიზება ჯანმრთელობის დაცვის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების საკითხებზე<br><br>ინფორმაციული მასალების მომზადება და განაწილება | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:** კოლეჯში სისტემატურად დაინერგა ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციების დაცვა, რაც მოიცავს როგორც ტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ჩატარდა მრავალრიცხოვანი ინსტრუქტაჟები სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, რაც მიზნად ისახავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებზე ცნობიერების ამაღლებას. ინსტრუქტაჟებს უძღვებოდა კოლეჯის მედდა ლალი ნარსია, რომელმაც დეტალურად გააცნო რეგულაციები, საჭირო უსაფრთხოების პროცედურები და სწორი ჰიგიენის პრაქტიკები.<br><br>მომზადდა და განაწილდა მრავალფეროვანი ინფორმაციული მასალები (ბროშურები, პოსტერები, ელექტრონული გზამკვლევები), რაც ხელს უწყობს რეგულაციების დამკვიდრებას სასწავლო და სამუშო გარემოში. რეგულარულად ხორციელდება რეგულაციების მოთხოვნების კონტროლი და შესაბამისი მონიტორინგი, რაც აძლევს საშუალებას დროულად გამოვავლინოთ და გავუმკლავდეთ ნებისმიერ ინციდენტს ან დარღვევას.<br><br>კოლეჯში ჯანდაცვის სფეროს შემოწმების პროცედურები და ინსტრუქტაჟები წარიმართა სისტემატურად და ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე — როგორც ადმინისტრაცია, ისე პროფესიული სტუდენტები, რაც მნიშვნელოვანად უწყობს ხელს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. | ინსტრუქტაჟის დღის წესრიგი და პროგრამა<br><br>ინსტრუქტაჟებში მონაწილეთა რეგისტრაციის სია და ხელმოწერები<br><br>კოლეჯის მედდა ლალი ნარსიას მიერ შედგენილი ინსტრუქტაჟის ანგარიში<br><br>ინფორმაციული მასალების ასლები (ბროშურები, პოსტერები, ელექტრონული გზამკვლევები)<br><br>ინციდენტების აღრიცხვის ფორმები და მონიტორინგის ანგარიშები<br><br>ფოტო და ვიდეო მასალა ჩატარებული ინსტრუქტაჟებიდან |
| კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება | მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირება და კვლევა<br><br>სარეკლამო კამპანიების და ბრენდინგის გეგმის შედგენა<br><br>მედიაპლატფორმების (სოციალური ქსელები, ადგილობრივი მედია, ბეჭდური პრესა) გამოყენება<br><br>ღონისძებებისა და აქტივობების ორგანიზება (ღია კარის დღეები, გამოფენები, პრეზენტაციები)<br><br>პარტნიორთან და სამიზნე ჯგუფებთან აქტიური კომუნიკაცია<br><br>შედეგების მონიტორინგი და შეფასება | | | | | | | **შესრულდა**: მიღებებთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კარის დღე, რომლისთვისაც შექმნილ იქნა პრეზენტაცია, რომ აპლიკანტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს ქონოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ კოლეჯის შესაძლებლობებს. შეხვედრები შედგა კითხვა-პასუხის რეჟიმში და ნებისმიერ დამსწრეს ქონდა შესაძლებლობა მათვის სასურველ საკითხზე ამომწურავი პასუხის მიღების. | სარეკლამო კამპანიების გეგმა და ანგარიში<br><br>ღონისძიებების დღის წესრიგი, ფოტო- და ვიდეო მასალა<br><br>სოციალური ქსელის და მედია ანგარიშები აქტივობების შესახებ |
| კოლეჯის თანამშრომლობა კერძო კოლეჯების ასოციაციასთან | მონაწილეობა ერთობლივ ღონისიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:** კოლეჯი ჩართულია კერძო კოლეჯების ასოციაციის დაგაგმილ ყველა ღოისძიებაში . | ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება კოლეჯების ასოციაციასთან |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პარტნიორობის გაღრმავება კოლეჯის პროფილის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ასოციაციებთაან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. | შესაბამისი პროფესიული ასოციაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იდენტიფიცირება<br><br>კომუნიკაციის დამყარება და შეხვედრების ორგანიზება პარტნიორული თანამშრომლობის შესაძლებლობების შესასწავლად<br><br>თანამშრომლობის მიზნების და ფორმატების შეთანხმება (საერთაშორისო კონფერენციები, ტრენინგები, სასწავლო პროგრამების მხარდაჭერა)<br><br>თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება<br><br>ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორციელება<br><br>პარტნიორობის შედეგების მონიტორინგი და შეფასება | ს | ს | ს | ს | ს | ს | **შესრულდა:** კოლეჯმა დაამყარა და გააღრმავა პარტნიორობა პროფილის სფეროს პროფესიულ ასოციაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. განხორციელდა ერთობლივი შეხვედრები და გაფორმდა მემორანდუმები. შედგა და მიმდინარეობს ერთობლივი პროექტები, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხარისხისა და სტუდენტთა დასაქმების გაუმჯობესებას. | პარტნიორული ორგანიზაციების სია და საკონტაქტო ინფორმაცია<br><br>შეხვედრების ოქმები და კომუნიკაციის წერილები<br><br>გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები<br><br>ერთობლივი პროექტების ანგარიში და აქტივობების დოკუმენტაცია<br><br>ფოტო და ვიდეო მასალა ღონისძიებებიდან |